საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990133225021121

№10/4168 **03 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ასლი: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი წერილით (N10692/01 13.10.2021) წარმოდგენილი "გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის" პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიში და "გუდაურის მაღლობების" განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სრულფასოვნად არის მოცემული ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და არქეოლოგიურ ობიექტებზე, შეფასებულია მათზე სავარაუდო ზემოქმედების რისკები. სგშ-ს ანგარიშზე მუშაობის პროცესში განხორციელებულია საპროექტო ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა (პ. 7.8), რომელიც მოიცავს საარქივო მონაცემების შესწავლით და საპროექტო ტერიტორიის არქეოლოგიური (ვიზუალური) კვლევებით მიღებულ შედეგებს. ანგარიშის მიხედვით საკვლევ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და არქეოლოგიური ფენები/არტეფაქტები არ დაფიქსირებულა. მიწის სამუშაოების დროს უცნობი არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში კი გათვალისწინებულია საქმიანობის წარმართვა "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად (პ. 8.2).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, კომპეტენციის ფარგლებში, მისაღებად მიაჩნია "გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის" წარმოდგენილი პროექტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში დაცული უნდა იყოს "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, მიწის სამუშაოების დროს უცნობი არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობის შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები და წერილობით აცნობოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (მოცემულ ეტაპზე - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს).

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა გაფრინდაშვილი